

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმონ 1

20.01.2022 წელი

ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა: ზურაბ ლილუაშვილი

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თამარ ხატიაშვილი; ოთარი ესიტაშვილი; თენგიზ მთვარელიშვილი; გიორგი ხაჭაპურიძე; გიორგი ქართლელიშვილი; გიგი გიგიტელაშვილი; რუსუდან იმერლიშვილი; ნინო ომანიძე; იმედა კველიშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: დეპუტატი - ლევან კოჭლოშვილი; საკრებულოს აპარატის უფროსი - ტარიელ გალახვარიძე; საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე - მედეა ჩაფურიშვილი; საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - ლია ფარსადანიშვილი; საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი - ნინო ასანაშვილი; საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - ნიკოლოზ ესიტაშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ნათია ვაყელიშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი - მაია დათუნაშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი - შოთა ჩეკურიშვილი; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის, ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი - ლიკა ალადაშვილი. თელავის მუნიციპალიტეტის* მერიის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი - გიორგი ენუქიძე; მოქალაქე - მაკა მოსიაშვილი.

თავმჯდომარემ კომისიის სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი - ზ. ლილუაშვილი
თანამომხსენებელი - გ. ენუქიძე

2. თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი - ზ. ლილუაშვილი
თანამომხსენებელი - ლ. ალადაშვილი

3. თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ,

მომხსენებელი - ზ. ლილუაშვილი
თანამომხსენებელი - მ. დათუნაშვილი

4. თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი სპორტულ-ახალგაზრდული პროგრამის დამტკიცების შესახებ,

მომხსენებელი - ზ. ლილუაშვილი
თანამომხსენებელი - მ. დათუნაშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვს: ზ. ლილუაშვილმა ზოგადად ისაუბრა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელ ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცებას. კომისიის თავმჯდომარემ განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსს - გიორგი ენუქიძეს.

მან აღნიშნა, რომ პროგრამების დაფინანსება გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 236,5 ათ. ლარით. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში არსებული საერთო სოციალური ფონის უკეთესობისკენ შეცვლას, უკიდურესად გაჭირვებული მოქალაქეების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობას, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდას. მან ამომწურავად ისაუბრა ყველა პროგრამაზე და ქვეპროგრამაზე.

მსჯელობის შემდეგ, განხილვა წარიმართა თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის მიხედვით.

ი. კველიშვილი - 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ პირთა დახმარების ქვეპროგრამასთან დაკავშირებით - მხოლოდ ერთი ქალბატონი სარგებლობს. გასულ წელს ყოველთვიური დახმარება შეადგენდა 150 ლარს. მიმდინარე წელს გაზრდილია და შეადგენს 200 ლარს. იქნებ აღნიშნული დაფინანსება გაიზარდოს კიდე 100 ლარით,

ლ. კოჭლოშვილი - ასეთი პროგრამა სხვა მუნიციპალიტეტებს არ აქვთ, 4 წლის წინ შეიქმნა საკრებულოს და მერიის ერთობლივი მუშაობის შედეგად და მხოლოდ თელავის მუნიციპალიტეტში დაინერგა.

კომისიის ყველა წევრმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ პროექტს და მიზანშეწონილად მიიჩნია 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებულ პირთა დახმარების ქვეპროგრამით გათვალისწინებული ყოველთვიური ფინანსური დახმარება, გასულ წელთან შედარებით გაიზარდოს 100 ლარით.

გადაწყვეტეს: კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამასთან დაკავშირებულ შენიშვნაზე, გადაწყვეტილება მიიღოს საკრებულოს ბიუროს სხდომაში.

მოსმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ზ. ლილუაშვილმა ზოგადად ისაუბრა წარმოდგენილ პროგრამასთან დაკავშირებით და განმარტებები მოსთხოვა ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი - ლ. ალადაშვილი.

მან აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2022 წლის პროგრამის ბიუჯეტის დაგეგმვის დროს, გათვალისწინებულია ყველა ის ფაქტორი, რაც აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობისთვის. წარმოდგენილი პროგრამის განსახორციელებლად საჭიროა 207,5 ათ. ლარი. ლ. ალადაშვილმა ისაუბრა პროგრამით წარმოდგენილ ყველა განსახორციელებელ სამუშაოზე.

ზ. ლილუაშვილი - გასულ წელთან შედარებით დაფინანსება 102.3 ათ. ლარით არის გაზრდილი და ლიკა ალადაშვილისგან მოითხოვა ახსნა, თუ როგორ გადანაწილდა ეს თანხები? მომხსენებელმა განმარტა, რომ გასულ წელს პანდემიის გამო, არსებულმა პროგრამებმა წლის განმავლობაში რამდენჯერმე განიცადა ცვლილება, რამაც გამოიწვია თანხების ცვლილება.

კომისიის წევრებისგან გამოითქვა აზრი, რომ პროექტები ძალიან კარგია. სასურველია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და სამუშაოების შესყიდვის შემდეგ, პროექტი პროექტად არ დარჩეს და განხორციელდეს სამუშაოები.

კომისიის წევრებმა სრულად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს.
გადაწყვეტეს: თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამა, დასამტკიცებლად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

მოსმინეს: 3. თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის თავმჯდომარემ მოკლედ მიმოიხილა წარმოდგენილი პროექტი და დეტალების დაზუსტება მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსს - მაია დათუნაშვილს.

მან აღნიშნა, რომ გასულ წელს პანდემიის გამო კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტი მცირე იყო. მიმდინარე წელს პროგრამების ბიუჯეტი შეადგენს 97,6 ათ. ლარს. მ. დათუნაშვილმა ამომწურავად ისაუბრა თითოეულ პროგრამაზე და ასევე ამომწურავად უპასუხა დეპუტატების მიერ დასმულ შეკითხვებს.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ პროექტს.

გადაწყვეტეს: თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამები, დასამტკიცებლად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

მოსმინეს: 4. თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი სპორტულ-ახალგაზრდული პროგრამის დამტკიცების შესახებ,


აზრი გამოთქვეს: ზ. ლილუაშვილმა ისაუბრა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით პროგრამების დაფინანსებაზე წლის განმავლობაში დაიხარჯება 108,0 ათ. ლარი. კომისიის თავმჯდომარემ და დამსწრე დეპუტატებმა განმარტებები მოსთხოვეს მომხსენებელ მ. დათუნაშვილს.

მან ამომწურავად ისაუბრა წლის განმავლობაში განსახორციელებელ თითოეული პროგრამის გარშემო და ამომწურავად უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ პროექტს.

გადაწყვეტეს: თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი სპორტულ-ახალგაზრდული პროგრამები, დასამტკიცებლად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე



ზ. ლილუაშვილი